

სიმონ ქვარიანი


2. 26

კარიბულ ვაჭით

ვენახის გაფანება.

(მოკლე დარიგება).

გამოცემა „კრებული“-ს რედაქციის.



ძალაიდი

დამბაშიძის სტამბა:

1900



ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ର

სიმონ ევარისტი

კარიბულ ვაჭით

ვენახის გაფენება.

(ზოქლე დარიგება).

1445



ძუთაისი

ღამბაშიძის სტამბა თიბიგ. გამბაშიძე.

1900

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 26 Февраля 1900 г.

ამარიკულ კაზით პენაზის გაშენება

მოკლე დარიგება.

1. რაღ დაგვარდა ამარიკული ვაჭი.

ეყო დრო როცა თითქმის მთელ იმერეთში და გურია-სამეგრელოში არსებობდა მხოლოდ მაღლარი ვენახები. კაცი იმათზე არ ზრუნავდა; ეწვეოდა მაშინ, როცა ყურძენი დამწიფდებოდა. მაგრამ გაჩდა ნაცარი და მოსპო ის განთქმული მაღლარები და დობილოები. მოისპო კი ამით ჩვენში ღვინო და ვენახები? სრულებითაც არა! ჩვენ მოვუძებნეთ იმ სენს გამძლე ვაზები და დავიწყეთ მით დაბლარების კეთება, რითაც აღორძინდა ზემო-იმერეთში ახალი მევენახობა. თუმცა გაქრა სახელი შანთის, ჩხავერის და ოჯალეშის ღვინოებისა, მაგრამ სამაგიეროდ დაიბადენ კრახუნას, ცოლი-კოურის და ანდასეულის ღვინოები. ჩვენი მევენახობა თან-და-თან გაიზარდა და იზრდება კიდეც. გაჩდა ეგრეთივე ჭრაქი და აბი, მაგრამ ამათ

წინააღმდეგ მოგონილია შვენიერი საშუალება,— შაბდაბანი, რითაც აქიმობენ ეხლა ყველგან. მაგრამ ეს ათიოდე წელიწადია, რაც გაჩდა ჩვენში ვაზის საშინელი რისხეა—ფილოქსერა. ეს პატია მწერი ჩდება ძირებში, სწავს მათ ნოკიერ წვენს, ასუსტებს ვაზს და სამ-ოთხ წლის შემდეგ სპობს კიდეც. ამ რიგად ამ საზარელმა სენმა მოგვისპო იმერეთში და სპობს ახლაც აუარება ვენახებს. ვინ მოთვლის რამდენი ოჯახი დააღარიბა და დასცა მან, რამდენ მუშას დაუწვა გული და აუტირა ცოლ-შვილი. ეს პატია მატლი, ეს ფილოქსერა გახდა ვაზის ნამდვილ ჭლექად.

მაგრამ მარტო ჩვენში კი არ არის ეს ფილოქსერა! იგი ჩვენზე წინად გაჩდა ევროპაში, სადაც გაღმოჰყვა ვაზებს თავის სამბშობლო ამერიკიდან, საიდანაც გვეწვია ეგრეთვე ნაცარი, ობი, ბლეკ-როტი და სხვ. ეს ოც-და-ათი წელია, რაც ფილოქსერა აოხრებს ევროპის ვენახებს, მარტო ერთ საფრანგეთში მოსპო თითქმის ხუთი მილიონი ქცევა ვენახი და მისცა ხალხს რვა ათას მილიონ მანათის ზარალი. აურაცხელი ზარალი ჰქნა ამ სენმა იტალიაში, ისპანიაში, უნგრეთში, შვეიცარიაში და სხ.

შეინძრა მთელი განათლებული ეკროპა, დაფაცურდენ მეცნიერნი, დაუწყეს ბრძოლა ამ ფილოქსერას, მოძებნეს მრავალი საშუალებანი, მაგრამ ყველაზედ უკეთესი, აღვილი, იაფი და სა-

ხეირო აღმოჩდა და გამოცდილებით დამტკიცდა
ამერიკული ვაზები, ანუ შრანე ვაზები, როგორც
ეძახიან ჩვენში.

ამერიკაში მოგვისია ჩვენ ეს საშინელი მტერი
და ამერიკაშივე იპოვეს მეცნიერებმა მისი წამა-
ლი. მონახეს იმგვარი ვაზები, რომელთაც ვერას
აკლებს ფილოქსერა, მოზიდეს და მოაშენეს ევ-
როპაში ეს ვაზები, დამყნეს ზედ თავიანთი ვაზე-
ბი (რადგან ამერიკული ვაზები თავის თავად ცუდ
ლვინოს იძლევიან) და ამ რიგად მარტო საფრან-
გეთში უკვე შექმნეს და აღადგინეს სამი მილიონი
ჰეკტარი, რომელნიც ბევრად უკეთაც ისხამენ
და უკეთეს ლვინოსაც იძლევიან, ვინემ წინად.
მასთან ფილოქსერაც ვერას უშვება. არის და მი-
ნახავს კიდეც საფრანგეთში ოცი და ოც-და-ხუთი
წლის ნამყენები, მაგრამ ისე საღად არიან, როგორც
ხუთი-ექვისი წლის დარგულები; ფილოქსერას ვე-
რა-რა უვნია მათთვის. დღეს ჩვენც უნდა წავბაძოთ
განათლებულ ევროპას, დავმყნათ ამერიკულზე ჩვე-
ნი ვაზები და კარგად დამუშავებულ-გაღაბრუნე-
ბულ მიწებზე შევქნათ და. აღვადგინოთ ახალი გე-
ნახები, რომლებიც უკეთეს ლვინოსთან ერთად მო-
გვცემენ ორ-სამჯერ მეტ მოსავალს; ამ რიგად ჩვენ
ვიხსნით თავს ფილოქსერის რისხვიდან და შევქ-
ნით ახალს მეგენახობას. ნათქვამია: ერთი ჭირი მარ-
გებელიაო და ეს მარგებელი ჭირია—ფილოქსერა.
იგი სპობს ძველს ურგებ ვენახებს, რომელზედაც

შევქნით ახალს სასარგებლო ზორებს. მაშ ძმებო,
იმედი და შრომას ხელი! *)

2. საღვინე და საცამავენე ამერიკული ვაზე. ბი და ჰიბრიდები.

ამერიკული ვაზები იყოფა ორ ჯგუფად: სა-
ფინურ და სანამუელურ. პირველი ჯგუფის ვაზები
ისხმენ ყურძენს და მით იძლევიან ლვინოს, ხოლო
ეს ლვინოები მდარეა და ცუდი გემოსი, როგორც

*) შეიძლება სოჭვას ზოგიერთმა: რად გვინდა ამერიკუ-
ლი ვაზი, როცა ჩვენი მწვანე, ციცქა (შანთი) და დონდოლა-
ბი უძლებენ ფილოქსერასო. შემცდარი აზრია. ეს ჩვენი ვა-
ზები უძლებენ შედარებით, ე. ი. კვდებიან უფრო გვიან, მხო-
ლოდ ბოლოს მაინც ხდებიან ფილოქსერის მსჯერვლი. ამათ
ბევრია, თუ გაძლეს 6 - 7 წელი, მაშინ როდესაც ამერიკუ-
ლი ვაზები უძლებენ სამუდამო ბოლო. ზოგი ნურც
მით მოტყუვდება, თუ გადამხმარ ვაზების აჩებით განახლა ვე-
ნახი. იმ განახლებულ ვაზებს ხელ-ახლად უჩდება ფილოქსერა
და სპობს ერთიანად. საჭიროა იცოდეთ, რომ ზაფხულში ზო-
გი ძირის ფილოქსერა ამოდის მიწიდან პაწია პეპლად, გადა-
ლის ამ რიგად ვენახიდან ვენახში, თუ გზის ქარი შეხვდა გა-
დიფრენს ათ თხუთმეტ ვერსზე და ამ რიგად უჩდება და
სპობს ვენახებს. ერთი ფილოქსერა კი ერთ წელიწადს აჩენს
ერთ მილიონ ფილოქსერას. ისე უხვად მრავლდება ის წყეული!
იგი გადადის ეგრეთვე ვაზების გადატანით და გადაყვება ხოლ-
მე კაცს ტანსაცმლითაც-კი.

ჩვენი ოდესა (იზაბელა), რომელიც ამერიკულია; თანაც, თუ ძლიერ მსუქან მიწაზედ არაა და კარგადაც არ მოუარეს, ვერ უძლებენ ფილოქსერას და ხმებიან. ჩვენთვის ბევრად უფრო საგულისხმოა მეორე ჯგუფი, ე. ი. სანამყენე ვაზები. ამათ მიტომ ჰქვიათ სანამყენე, რომ თავის თავად ან სულ არ იძლევიან ნაყოფს, ან ისხმენ ფრიად მცირეს და უვარგის ყურძენს. სამაგიეროდ ეს ვაზები საშაგა-ლითოდ უძლებენ ფილოქსერას და ვარგობენ სანამყენედ, ე. ი. ვარგად ითვისებუნ და ახარებენ ზედ დამუნილ ჩვენსა და ეგროპიულ ვაზებს. ამათზე დამუნილი ჩვენი და ეგროპიული ვაზები იძლევაან ბევრად მეტ უურძენს, ვინემ ჩვენი დაუმუნელი ვაზები, მარცვლებიც უფრო მსხვილი აქვთ და მასთან უურძენი მწიფდება უფრო ადრეც; აქვს მეტი სიტყბო, რის გამო იძლევა უპეტეს დვინოსაც. მე თვით გავშინჯე საფრანგეთში და შეეიცარიაში ამერიკულ ვაზებზე დამყნილის და ისე დაუმყნელი ვაზების მრავალი ღვინოები, მაგრამ დამყნილ ვაზების ღვინოები ბევრად უკეთე-სად მეჩვენა, ვინემ დაუმყნელის. ვნახე ეგრეთვე ჩვენ-შიაც, სოფ. შროშაში (ზემო იმერეთში) ბ. რ. ჩიხლაძის მამულში დამყნილ ჩვენებურ ვაზის ღვინო, რომელიც მეტად კარგი იყო. ამ რიგად ძლიერ და ძლიერ ცრუა ჩვენში გავრცელებული ხმები, თითქმ ამერიკული ვაზი ნამყენის ღვინოს აფუჭებდეს. ეს შემცდარი აზრები უმეცართა ოცნების ნაყოფია.

მეტი არ იქნება დავძინოთ, რომ საფრანგეთის მეცნიერებმა ყვავილობის დროს დააჭირწინეს ერთმანეთს, როგორც თვით ამერიკული ვაზები, ეგრეთვე ამერიკულ-ევროპიული ვაზებიც, დათესეს მათი თესლი და ამ რიგად შექმნეს სულ ახალი ვაზები, რომლებიც ძლიერ კარგად უძლებენ ფილოქსერას, კარგად ითვისებენ ნამყენს, ვარგობენ თითქმის ყველა მიწაბზედ და ბევრი მათგანი იძლევა პირდაპირ დაუმყნელად კარგ ღვინოსაც. ამგვარ ხელქმნილ ვაზებს დაარქვეს ჰიბრიდები.

3. ამარიპულ ვაზების და ჰიბრიდების არჩევა მიზის შესაფერად.

სანამყენე ამერიკული ვაზები და ჰიბრიდები ძლიერ ბევრია, მათში-კი დღეს ყველაზედ უკეთესია შემდეგი: რიპარია, რუპესტრის მარტენ, რუპესტრის-მონტიკლა, შასლა-ბერლანდიერი № 41 b., მურგედრ-რუპესტრის № 1202, რიპარია-რუპესტრის № 101¹⁴, რიპარია-რუპესტრის № 3309. ყველა ეს ვაზები ძლიერ კარგად უძლებენ ფილოქსერას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ვაზებივით ამერიკული ვაზები და ჰიბრიდები არ ვარგობენ ყველა მიწაზე; თითო მათგანი თხოვილობს შესაფერნიაღას. აბა, განვიხილოთ ახლოს.

1. რიპარია ყველაზე უკეთესი და უფრო გა-

ვრცელებული ამერიკული ვაზია; იგი ძლიერ კარგად ითვისებს ნამყენებს, კარგად ახარებს მათ, აღრე ამწიფებს ყურძენს და ბევრსაც ასხმევინებს. მისთვის საუკეთესო მიწებად ითვლება ღრმა, ფხვიერი, მსუქანი და ნოკიერი მიწები, რომლებშიაც არ უნდა ერიოს ბევრი კირი. რიპარია ვარგობს ეგრეთვე კაუნარ და სილნარ მიწებზე, კაუნარ-თიხნარზე, თიხნარ-კირნარზე, კაუნარ-კირნარზე და სხ., საზოგადოდ ყველა იმ მიწებზე, რომლებზე-დაც ვარგობს წაბლარი. ეს მიწები უნდა იყვეს ღრმა, ოდნავ ლამიანი და ნაყოფიერი. რიპარიაც ბევრგვარია, მათში ყველაზე უკეთესია: რიპარია-გლუარ და რიპარია-გრანგლაბრ.

2. რუპესტრის მარტენ. საუცხოვო ვაზია და კარგად ხეირობს ხმელს, ქვა-რეულ, თიხნარს და კაუნარ ეწერ მიწებზედ, რომლებშიაც კირი ან სულ არ ურევია, ან ძლიერ ცოტა.

3. რუპესტრის-მთნტიკოლა ანუ რუპესტრის-დუ-ლო ძლიერ გამძლე და შესანიშნავი ვაზია კირნარ მიწებზე, მჭლე, ხმელ ქვიშნარ, მკვრივე-თიხნარ და კაუნარ მიწებზედ. იგი უფრო ხეირობს მჭლე მიწებზედ და არა მსუქანზედ, რომელზედაც აცყენს ნაყოფს.

4. რიპარია-რუპესტრის № 101¹⁴ და რიპარია-რუპესტრის № 3309. ეს ორი ჰიბრიდი ძლიერ გამძლეა და კარგად ხეირობს კირნარ, სველს და თიხ-

ნარ მიწებზედ, სადაც კირი ადის ოც-და-ათ პროცენტამდე. ნამყენებს კარგად ითვისებს და ახარებს. მჭელე მიწა არ უყვარს.

5. შასლა-ბერლანდიერი № 41 b, და მურვედრ-რუპესტრის № 1202. ეს ორი ჰიბრიდი კარგად ვარგობს იმგვარ კირნარ მიწებზედ, რომლებზედაც ზემოხსენებული ვაზები ყვითლდებიან და ხმებიან. ეს ორი ვაზი ძლიერ ხეირობს თირის და კირის მიწებზედ, სადაც კირი ადის 70% -დე, ე. ი. სა-დაც ორი და სამი წილი მარტო კირია. მასთან კარგად ითვისებს და ახარებს ნამყენებს. შასლა-ბერლანდიერის უფრო უყვარს მოხმელო მკვრივე კირის და თირის მიწები, მურვედრ-რუპესტრისს-კი ოღნავ სველი, წებოიანი, კირნარი და კირნარ-თიხ-ნარი მიწები.

აი აქ ჩამოთვლილ ვაზებზედ ჩვენ შეგვიძლია დავმყნათ ჩვენი ვაზები და მით გავაშენოთ ვენახები მათ შესაფერ მიწებზედ. ამ ვაზების ლერწად თუ ძირეულად შეძენა შეიძლება როგორც კერძო პირთა ამერიკულ ვაზის სანერგეებში (საჩქოლეში) მაგ. ს. შროშაში, დ. ბალდადში, ს. აფანაურში და სხ. ეგრეთვე შეტაღრე ყვირილის რკინის გზის სადგურის ახლოს, ს. საქარის სანერგეში. იქვე იყიდება ამერიკულ ვაზებზედ დამყნილი ჩვენი ვაზები. იქვე ასწავლიან მსურველთ უფასოდ დამყნასაც. აქ ჩამოთვლილ ამერიკულ

ვაზებზედ და ჰბრიდებზედ დამყნილი ჩვენი ვაზები
იცოცხლებენ ოც-და-ათსა და ორმოც წელიწადს
და მეტად კარგად გაუძლებენ ფილოქსერას.

4. ამინიდული ვაზის მოზოგაბა.

ამერიკული ვაზის მოშენება ფრიად აღვილია.
იგი იმ რიგადვე შენდება, როგორც ჩვენი ვაზი.
იგი შეგვიძლია მოვაშენოთ ან სანერგეში (საჩქო-
ლეში) ან პირ-და-პირ სავენახე მიწაში, ამიტომ
საჭიროა, რომ ორივე ალაგას მიწა სამ ჩარექ-
ზე მაინც იყვეს გადაბრუნებული და წინ-და-წინ
მომზადებული ორი თვით ადრე მაინც. ბევრად
უმჯობესია, რომ ნაკელიც დაეყაროს, მეტადრე თუ
მიწა მწირეა.

თუ საჩქოლეში გვსურს მოვაშენოთ ამე-
რიკული ვაზი, საჭიროა გავთხაროთ წყებად რვა
გოჯის სილრმე-სიგანის მქონე თხრილები და ახ-
ლო-ახლო მივაწყოთ ლერწები (რქები), რომელთა
სიგდე არ უნდა აღემატებოდეს რვა-ცხრა გოჯას;
წკაპები უნდა შორავდენ ერთმანეთს სამი ჩარე-
ქით; თუ გვსურს, რომ კარგად გაიხარონ, უმჯო-
ბესია დარგვამდე ლერწები ერთით ან ნახევარ დღით
ადრე ჩაიყაროს წყალში და შემდეგ დაირგას. ის
თხრილი უნდა ამოიგოს მიწით და კარგად და-

იტკეპნოს. ზევით ლერწის თავებზედაც ოლნავ უნდა წაეყაროს მიწა, რომ არ ავნოს სიცხე-სიცივებ. ამ რიგად შეგვიძლია ერთ ქცევა საჩქოლები მოვაშენოთ ასი ათასზედ მეტი ვაზი; გახარებითაც შეგვიძლია გავახაროთ სამოც-და-ათიდან ოთხმოც-და-ათ პროცენტამდე, ე. ი. ყოველ ას ლერწში სამოცდა ათიდან ოთხმოც-და-ათამდე. ზაფხულში ორ-სამჯერ უნდა შამოეთოხნოს მიწა და უნდა ეწამლოს შაბიაბნით. ამერიკულ ვაზების ამ რიგად მოშენება შეიძლება მარტში ან აპრილში. ჩახაყრელად ვარგა ეგრეთვე ან სულ წმინდა ან სულ მსხვილი ლერწები, ე. ი. ისინი რომელნიც სანამყენოდ არ გამოდგებიან და რომელნიც თითქმის უფასოდაც შეიძლება შეიძინოს კაცმა, როგორც საქარის, ეგრეთვე კერძო საჩქოლებში.

ამ რიგად გახარებული ლერწი შეგვიძლია მეორე გაზაფხულს გადავრგოთ მწკრივად უკვე ძირეულად მისთვის დამზადებულ სავენახე ადგილში, ორ-სამ არ-შინის სიშორებედ ერთი-მეორედან. და კიდეც გადავწიგნოთ (გადავწიდნოთ) თუ დაგვჭირდა. მეორე წელიწადს ისინი უნდა გაისხლას თითო კვირტზედ, შემდეგ წლებში პირ-წმინდად შემოსხლავენ ყველა ლერწებს გარდა სამი-ოთხი ლერწისა, რომელთაც გასხვლენ ერთ-ორ კვირტზედ. ამ რიგად ვაზის ღერი მსხვილდება ძლიერ და ყოველ წლივ ამოიყრის ხოლმე მრავალ ლერწებს, რომლებსაც ვიხმართ სამყენად. ამ ამერიკულ ვაზებს ეძახიან

დედა-ვაზებს, იზრდებიან ძლიერ სწრაფად; მისი წლიური შრომაა—მსხვილი ხარდნის მისობა და ორ-სამჯერ გათოხნა. როგორც ხედავთ, ამერიკულ ვაზების მოვლა-მოშენება სულ აღვილია და იაფი, ამიტომ მათი მოშენება გასაყიდად და საკუთარ საჭიროებისათვის ძლიერ სახეიროა. ამ ვაზებს ქვია დედა-ვაზები.

5. დამყნა და შენახვა.

ვაზის დამყნა შეიძლება ბევრნაირად; ყველა-ზედ უფრო კარგი, აღვილი და გავრცელებულია ორგვარი დამყნა: უბრალო ნახლებით და ინგლისური. განვიხილოთ ორივე.

ა. უბრალო ნახლებით დამყნა საჭიროა მაშინ, როცა გვსურს დავმყნათ ძირეულ ამერიკულ ვაზედ. აქ განირჩევა ორი შემთხვევა: პირველი, როცა ძირა ვაზი ანუ სამყენი ნორჩია და მისი ღერი სისხოთი არ აღემატება ნამყენის, ე. ი. ჩვენებურ ვაზის ღერძის სისხოს. ამის გამო სამყენის, ე. ი. ამერიკულ ვაზის ღერი უნდა წაიჭრას მიწის სისწორივ და უნდა გაიხლიოს შუაზედ ოდნავ. მოკლე, ერთ-კვირტიანი ნამყენი-კი, ე. ი. ჩვენებური ვაზის ღერძი უნდა წაითალოს ორი-მხრივ ქვემო კვირტის ახლოს, და უნდა ჩაესოს სამყე-

ნის ნახლებში, იმ რიგად, რომ ნამყენის და სამყენის კანი ანუ უკეთ მწვანე აპკი ერთმანეთს უნდა ეხებოდეს. ეს აუცილებელი საჭიროა, რომ ნამყენმა გაიხაროს. ამიტომ თრივებს სისხო უნდა იყოს თანატოლი. (იხილეთ სურათი 1.). ზეიდან უნდა წაეყაროს სილა.

მეორე შემთხვევა, როცა გვსურს ამერიკულ ვაზის მსხვილ ძირზედ დავმყნათ ჩვენი ვაზი. აქ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც ვმყნით ვაშლს ან მსხალს. უნდა წავჭრათ თავი ძირა-ვაზს მიწის სისწორივ, უნდა გავხლიჩოთ და ჩაუსოთ იქით აქეთ ჩვენი ვაზის ერთ-ორ კვირტიანი ორი წაწვეთილი ლერწი იმ რიგად, რომ ძირა-ვაზის და ნანყენის კანი ერთმანეთს ეხებოდეს. უნდა შეიხვიოს მატყლის ძაფით, ან რაფიათი; უმჯობესია, თუ წაგლის-ვენ სამყენ მალამოთი; ზეიდან კი უნდა წაეყაროს სქლად სილა. (იხილეთ სურათი 2.). ნახლებში დამყნა ითხოვს ბევრ ღროს, იგი უმჯობესია დაიმყნას აპრილში ან მაისში, როცა შემცირდება წვენის მოძრაობა ანუ ვაზის ცრემლვა და როცა ჰაერიც და მიწაც საკმაოდ გამობარია. შეიძლება დაიმყნას მარტის დამდეგსაც, სანამ წვენის მოძრაობა დაიწყებოდეს.

ნამყენად სახმარი ჩვენი ვაზის ლერწები (რქები), უნდა დამზადდეს ამ რიგად: ეს ფერწები უნდა მთიჭრას უსათუოდ სად ნაუთვიერ ვაზებიდან, ფერწები უნდა იყოს ზომიერი და საკმაოდ მწიფე; უნაუთვოდ

სნეულის და ნორჩი გაზების ლერწი არ გარგა. ლერწი უნდა მოიჭრას თებერვლის დამლევამდე, ე. ი. სანამ ვაზი ცრემლვას დაიწყებდეს. ამერიკულ ვაზის ლერწი-კი რაც უფრო გვიან დარჩება ძირზე, უკეთესია და უნდა მოიჭრას მყნობის დაწყების დროს, ე. ი. თებერვალსა და მარტში. ჩვენებურ ვაზის ლერწს დამყნამდე ინახვენ ოდნავ სველ სილაში, გრილ ალაგას.

ბ. ინგლისური დამყნა. ინგლისური დამყნა შეიძლება ლერწზედ და ერთი წლის ნერგზედაც, ოთახში, თებერვლიდან აპრილის დამლევამდე. აშგვარი დამყნა უგელაზედ უფრო ადვილია, ჩქარი, უპეთესი და უფრო გავრცელებული. სამყენს, ე. ი. ამერიკულ ლერწს სიგრძით ხუთ ექვს გოჯას წააცლიან ყველა კვირტებს და სასხლავ დანის ერთი გაქნევით წასხლავენ ილინცრად. ეს ანასხლავი უნდა იყოს ზომიერი (იხ. სურათი 3.) და არ უნდა დაუწყოთ თლა. თუ დანის ერთი გაქნევით არ მოვიდა კარგი ანასხლავი, მეორედ და მესამედ უნდა გაუქნიოთ დანა, სანამ კარგი ანასხლავი არ მოგივათ. ლერწი უნდა წაისხლას ბრტყელი გვერდიდან მუხლთან ახლოს.

ამ რიგადვე უნდა წაიჭრას ილინცრად ნამყენიც, ე. ი. ჩვენი ვაზის ლერწი, რომლის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს ერთ-ორ გოჯას და ერთი ზეითა კვირტის მეტი არ უნდა ჰქონდეს. შემდეგ სამყენის და ნამყენის ანასხლავები უნდა ჩა-

იჭრას ქერქის ხაზების სიგრძეზედ, ცოტა დაბლა იმ ალაგიდან, საღაც ლერწის გული იშევება. ჩანა-
ჭერის სიგრძე (სილრმე) უნდა უდრიდეს ანასხლა-
ვის სიგრძის ერთ მესამედს, (იხ. სურათი 4.).

შემდეგ ნამყენი და სამყენი უნდა შეარწოთ
და შეამაგროთ ერთმანეთში (იხ. სურათი 5). ორი-
ვე ლერწი-კი უნდა იყოს სისხლთი უსათუოდ თანა-
ტოლი, ასე რომ მათი ქერქი და მის ქვეშ მდება-
რე მწვანე აპკი უსათუოდ ერთმანეთს უნდა მიე-
დოს ყოველ მხრივ, რომ კარგად შეედუღოს. ეს
აუცილებელი საჭიროა, თუ გსურთ, რომ ნამყენ-
მა კარგად გაიხაროს და საღი გამოდგეს. ამიტომ
კარგს ხელოვნურ გასხვლას და ორივე ლერწის
კარგად შეერთებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ
შემთხვევაში. ამგვარ დამყნის სწავლა კი ფრიად
ადვილია, ქალსა და ბავშვისაც კი შეუძლია მისი
შესწავლა, ოღონდ მცოდნე კაცს უყურონ მყნო-
ბაზედ და გაიწაფონ ხელი. მყენას ასწავლიან ეგ-
რეთვე საქარის საჩქოლეში.

თუ კარგად გაისხლა და ჩაჯდა ნამყენი სამყენ-
ში, მაშინ შეუხვევლადაც კარგად დაკავდება;
უმჯობესი-კი იქნება, რომ შეჰქრათ რაფიათი
რაფია—ერთგვარ მცენარის ლბილი და ლორ-
თქო ლერია. იგი ოდნავ უნდა შეასველოთ წყლით.
(იხ. სურათი 6). რაფია იყიდება დუქნებში. კარგ
დამყნას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გახარე-
ბაზედ და ნამყენის სიკარგეზედ. გლახა ნამყენი

კიდევ რომ გაიხაროს ცალ-გვერდელა იქნება და
შემდეგ წახდება.

ნამყენი მხოლოდ მაშინ შეხორცულება როცა მიწა
საკმაოდ მშრალია და გამთბარი; ეს კი აპრილსა და
მაისშია. ადრე ჩაყრა ცივს მიწაში საქმეს გააფუჭებს.
მანამდე კი უნდა შევინახოთ დამყნილი ლერწები
და აი როგორ:

გრილს სადგომში უნდა დაიყაროს ოდნავ
სველი სილა, უნდა გასწორდეს და ზეიდან უნდა
დაიწყოს რიგ-რიგად ან ისე ღერად ან კონა-კონად
შეკრული დამყნილი ლერწები და ვაზები; თითო
კონაში არ უნა იყოს ოცდახუთზედ მეტი ლერი.
კონასა და კონას შუა უნდა დარჩეს ცოტა ცარიელი
ალაგი. ამათ ზეით უნდა დაიყაროს ისევ მოსველო
სილა და მას ზევით კიდევ შეიძლება დალაგდეს
კონების მეორე წყება, რომელიც უნდა მოფაროთ
ისევ სილით; მერე კიდევ დააწყობთ ამ რიგად რამ-
დენი წყებაც გსურთ. ყოველ მხრივ უსათუოდ
სილით უნდა იყოს დაფარული და სილაც ოდნავ
სველი იყოს, (ძალიან სველი სილა არ ვარგა) რაღან
მშრალი სილა გააშრობს და გააფუჭებს ლერწებს
და ნამყენებს; ამ რიგად ორ სამ ოვეს და მეტზედაც
შეიძლება შენახვა.

6 საჩქოლეს მომზადება, დარგვა ^{თავი} მოჭლა.

ზერე თქმული დამყნილი ლერწები შეიძლება

პირ და პირ დაირგას სავენახედ გამზადებულ მიწაში
დაშენდება ვენახი; მაგრამ ბევრი მათგანი არ გაი-
ხარებს, ბევრიც სნეული და უვარგისი გამოდგება
და ამ რიგად ვენახიც გაქაჩილდება და დაბეჭავდება.

ამიტომ ბევრად უმჯობესია, რომ დამენილი ლერ-
წები ჯერ გაფასართ საჩქოლეში და მეორე გაზაფხულს
ავარჩიოთ მათგან საღი და კარგად შედებული ნერგები
და მით გაფაშენთ ვენახი; ამ რიგად ეს ვენახი ბევრად
უფრო მკვიდრი, სახეირთ და ბარაქიანი იქნება.

საჩქოლედ უმჯობესია აირჩეს საკმაოდ მსუქანი,
ღრმა, ფხვიერი და ოდნავ ლამიანი მიწა. ერთ მეა-
თედ ქცევაზედ შეიძლება გავახაროთ იმდენი ნერგი,
რომ თამამად გვეყოს ხუთ-ექვს ქცევა ვენახის მოსა-
შენებლად. ერთ ქცევაზედ-კი ასი ათასზედ მეტი
ნერგი მოშენდება. მიწა უნდა გადაბრუნდეს შამო-
დეგზედ ან ზამთარში სამ ჩარექზედ ან ბარით ან
გუთნით; დიდი ბელტები უნდა დაიფშვნას. მიწის
გადაბრუნებას ფრიიდ დიდი მნიშვნელობა აქვს ყო-
ველ მცენარისთვის და მეტადრე ვაზისთვის. შზის,
სიცხის, წვიმა-თოვლის, ჭარის და ყინვა-სიცივის წყა-
ლობით გადაბრუნებული მიწა იფშვნება, ფხვიერდება,
სუქდება, ნოენიერდება, ფუნთუშდება, ექლევა. ზომიერი
სილამე და ამ რიგად უმზადდება მცენარის ძირებს ფრიად
ნოენიერი და კარგი საზრდო-სავანე. ძირები-კი, ყველამ
ვიცით, ჰკვებავენ მთელს მცენარეს. გერავითარი ნაკელი
ვერ აკეთებს ისე მიწას, როგორც დრმად გადაბრუნება
და ზამთარში ან სიცხეში თვე გაჩერება.

საჩქოლე მიწას, თუ მწირეა, ან დაქანცული უმჯობესია მიეკეს კელა (სასუქი), გაზაფხულზედ, გადაბრუნების შემდეგ და აიხნას; შემდეგ მიწა უნდა დაიფარცხოს, უნდა დაიფშვნას და უნდა გაკეთდეს კვალები ანუ თხრილები, სილრმით და სიგანით შვილი—რვა გოჯი.

ნამყენი ლერწების დარგვა იმ დროს უნდა, როცა მიწა და ჰაერი საკმაოდ მშრალი და გამობარია, საუკეთესო დროა აპრილის დამდეგიდან მაისის დამდეგამდე. თხრილსა და თხრილს შორის უნდა დარჩეს სამი ჩარექის სიგანე ცარიელი ალაგი. ნამყენებს რგვენ თხრილში მწკრივად და აწვენენ ერთ გვერდზედ; ქარში დარგვა არ ვარგა. ლერწებ შორის უნდა დარჩეს ერთ გოჯამდე ცარიელი ალაგი. ნამყენების ნამეტანი მიჭეჭყა არ ივარგება, რამდენი შორშორსაა იძღენად უკეთესია. დარვულ ნამყენს უნდა მოუჩანდეს მიწიდან მხოლოდ ერთი კვირტი, რასაც უნდა წაეყაროს ზეიდან სილა ან ფხვიერი მიწა, რომ სიცივემ არ ავნოს.

დარგვამდე ნამყენებს ერთი ან ნახევარი დღით ასველებენ წყალში, მასთან თხრილში ქვეშ აყრიან მსუქანს სილა-ნაკელ-ნარევ მიწას, სტკეპნიან ფეხით და მერე რწყვენ წყლით, რომ უკეთ გაიხაროს. ზეიდან ამოშვერილ კვირტებს ფარვენ სილით ან ფშვნილი მიწით (იხ. სურათი 7). თხრილს გარდა რგვენ ეპრეთვე პალოთიც, მაგრამ თხრილებში დარგვა სჯობია. ზაფხულის განმავალობაში ახალ ნერგებს რამ-

ლენჯერმე უნდა შამოეთოხნოს მიწა, რომ ბალახებმა არ შეაწუხოს და მიწამაც სილამე შეინახოს. მასთან იკლის-მარიამობისთვეში წყნარს, ღრუბლიან ამინდში უნდა გადაჩხრიკოთ ხელით და ერთ-ორჯელ უნდა მოაშოროთ ბასრი დანით ის ზეითა ძირები, რომ-ლებიც ნერგებს ნამყენთან გაუჩნდენ, მერე ისევ უნდა მიაყაროთ მიწა. ამ ზეითა ძირების მფშორება აუცილებელი საჭიროა, რადგან ამით ქვეშა ძირები სუსტდება; მასთან ეს ზეითა ძირები ნამყენის, ე. ი. ჩვენი ვაზის ძირებია, რასაც ფილოქსერა უჩნდება.

ზაფხულის განმავალობაში ახალი ნერგები უნდა მორწყოთ სამ-ოთხჯერ შაბიაბნით, რათა ობშადა ჭრაქმა არ დაასუსტოს ნორჩი მცენარენი; ეგრეთვე თუ ზაფხული ძლიერ გვალვანი შეიქნა, ნერგები უნდა მოირწყას ხვავიანად სალამოთი ორ-სამჯერ. თუ ზემოხსენებულ წესებს დაიცავთ, აზრიანად დარგავთ და მოუვლით, ეს ახალი ნერგები შედუღდებიან კარგად, გაიკეთებენ ძლიერ კარგს ძირებს, ლერწებს და ყოველ ასში სამოც-და-ათიღან ოთხმოცამდე და მეტიც გაიხარებენ თამამად. საზამთროდ ამ ნერგებს ან საჩქოლეში სტოვებენ ან იღებენ და მიფარებულ ალაგას ინახვენ მოსველო სილაში ან ლამიან მიწაში.

7. სავენახე მიზის დამზადება.

თუ გსურთ, რომ გენახმა მალე მოგცეთ ნაუფლი,

თან კარგი და დიდი მოსაფალიც უსათუოდ უნდა გადააბ-
რუნოთ მიწა ღრმად სამ ჩარექზედ მაინც, მასთან კელაც
(სასუქიც) უნდა დააუსროთ, თავის ღროზედ უნდა გასხლათ,
გათხხნოთ, გამორჩოთ და უწამლოთ შაბიაბნით, თან
უნდა შეაკავთ კარგად და საჭინაული არც ზამთარში და
არც ზაფხულში არ უნდა შეუშვათ გენახში. ამ რიგად
აზრიანად და გულიანად დამუშავებული ერთი ქცევა ვე-
ნისი ადგილად მოგცემთ თრას-სამას ჩაფს შემს დვინოს,
ე. ი. იმდენს რამდენს ექვსი და შვიდი ქცევა ჩვენებუ-
რად დამუშავებული ვენახი ვერც გვაძლევს. ამ რიგად
დამუშავებული გენახი იძლევა უკვე მოსაფალს მესამე წე-
ლიწადს.

დიდი და მოუკლელი ვენახი არაა სახარპიელო,
ცოტა იქნს მაგრამ კარგად მოვლილი და ნაშატიები, აა
რაა სასურველი! ამერიკულზედ დამყნილი ჩვენი ვაზე-
ბი უსათუოდ თხოულობენ ღრმად გადაბრუნებულ
მიწაზედ გაშენებას, უამრსოდ ვერ ხეირობენ კარ-
გად. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ გადაბრუნებულ
მიწაზედ გაშენებული ვენახი სამ-ოთხჯერ მეტს მო-
სავალს იძლევა, ვინემ უბრალო ვენახი. ამიტომ ბევ-
რად მოგებული ვიქნებით, რომ არ შევუშინდეთ პირ-
ველ ხარჯს, ღრმად გადავაბრუნოთ და ვაპატიოთ
მიწა, მასთან კარგად მოვუაროთ ვენახს, თუ გვსურს,
რომ ჩვენი შრომა დაგვირგვინდეს კარგის მოსავლით
და სარგებლობით. თუ ვერ შევძლებთ, ნუ გავეკიდე-
ბით ბევრს; ცოტა გავაკეთოთ, მაგრამ კარგად-კი!

სავენახე მიწის გადაბრუნება (პლანტაჟი) შეიძ-

ლება ზაფხულში და შამოდევზედ. ხოლო ვაზის ჩაყრამდე ორი-სამი თვით აღრე მაინც უნდა იყოს მიწა დამზადებული; თუ ექვსი თვით ან ერთი წლით აღრე დამზადდება მიწა, კიდევ უკეთესია. ყველაზედ უკეთესია მიწის ბარით გადაბრუნება, ხოლო ეს დიღ ჯაფას თხოულობს; სიიაფისთვის ხმარობენ ორს გუთანს, ერთი მიღის წინ და ხნავს რვა გოჯამდე, მეორე მიჰყვება იმ კვალშივე უკან და აღრმავებს კიდევ ექვს გოჯაზედ. ამგვარად მიწის გადაბრუნება შეიძლება უფრო ვაკეზდ და ოდნავ დაფენილ მიწებზედ.

მიწა უნდა გადაბრუნდეს თუ ერთ არშინზედ არა სამ ჩარექზედ მაინც. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის გადაბრუნებას ვაზისთვის, ეს უკვე ვსოჭვით. თუ ბარით აბრუნებთ მიწას ჯერ უნდა გათხაროთ ქვემოდან თხრილი სიგანით ერთი არშინი და სიღრმით სამი ჩარექი ან მეტი; უნდა მიჰყვეთ ზეიდან და ჰყაროთ შიგ მიწა, დადი ბელტები უნდა დაფშვნათ, ამ რიგად გაკეთდება გვერდით მეორე თხრილი, ამას აავსებთ და გაკეთდება მესამე, მეოთხე, მეათე და სხ. თანდათან ესენი აივსება მის გვერდით მდებარე მიწით და სულ ბოლოს ზეიჯ დარჩება შეუცვებლად ერთი თხრილი. ამ რიგად ბრუნდდება სავენახე მიწა. ეს არაა ძნელი.

მიწა ანუ ნიაღავი შესდგება ორის შრედგან: ზეადაგიდან და ქვეადაგიდან. თუ ორივე ში ცოტა კი რია, მაშინ უნდა გადაბრუნდეს ორივე ისე როგორც ზევათ ვსოჭვით; თუ ზეადაგში არაა, ან ცოტაა კირი, ქვეადაგში-კი ბევრია, მაშინ ქვეადაგი უნდა დარჩეს

უხლებლად და მარტო ზეადაგი უნდა გადაბრუნდეს; თუ ზეადაგში ბევრი კირია და ქვეადაგში-კი არა, მა-შინ უნდა გადაბრუნდეს ორივე. ხოლო ზეადაგი ქვეშ უნდა მოჰყვეს, ქვეადაგი-კი ზევით. ეს მიტომ კეთდება ასე, რომ ამერიკულ ვაზებს ვნებს კირი.

ძლიერ ფერდობზედ, საღაც გადაბრუნებული მიწა თავს ვერ დაიჭერს, საჭიროა დასტოვოთ ყოველ ხუთ-ექვს საჯენზედ სიგრძისად ხტულებივით დაუბა-რავი მიწა სიგანით ერთი არშინი ან არშინ-ნახევარი; ეს ხტულები შეაკავებენ გადაბრუნებულ მიწას. უ-მისოდ-კი დიდი წვიმა და ღვარები ჩამორეცხენ ერ-თიანად გადაბრუნებულ მიწას და დასტოვებენ ფხექს, რაც ბევრს დამართნია ზემო იმერეთში.

საზოგადოდ-კი მიწა უნდა გადაბრუნდეს სულ ერთიანად და არა მარტო თხრილები გაკეთდეს ვა-ზის ჩასაყრელად, როგორც ზოგიერთებმა ჰქნეს ჩვენში. ეს დიდად მავნებელია, რაღგან ამგვარ თხრილებში დგება ზამთრობით და გაზაფხულზედ წყალი დაალ-პობს ვაზის ძირებს, ეგრეთვე თხრილებში ვაზის ფეს-ვები ვერ ხეირობენ. მასთან თხრილების კეთება არც ისე იაფად ჯდება, როგორც ჰგონიათ. ამიტომ ბევრად უკეთესია მიწის ზირ-წმინდათ გადაბრუნება. ეგრეთვე გადაბრუნებულ მიწაზედ გაშენებულ ვენახს მესამე წელიწადს მოაქვს მოსავალი, თხრილებში ჩაყრილ-კი მხოლოდ მეხუთე-მეექვეს წელიწადს.

8. ვენახის გაშენება და მოვლა.

გადაბრუნებულს სავენახე მიწას ახალ გაზაფხულს დააყრიან ნაკელს, ახნავენ და მოასწორებენ. რამდენად უფრო მწირეა, იმდენად მეტი ნაკელია საჭირო, მასთან ვაზისთვის ძლიერ კარგი სასუქია ნაცარიც, ჩვენში რომ უბრალოდ ჰყრიან. მასთინ ძლიერ აკეთებს მკვრივე იყალო მიწებს ქვიშა და სილა, ესენი უნდა დააყაროთ და ახნათ.

ძირეულ ვაზის ჩაყრა შეიძლება როგორც ახალ გაზაფხულზედ ისე შემოღვომაზედ. უსათუთდ უნდა აარჩიოთ ძლიერ კარგად უფეხლმერივ შედეგებული და დონიერი ნამუენები, უნდა დაუტოვოთ ერთი ლერწი და გასხლით ერთ-ორ კვირტზედ, შეაკვეცოთ ოდნავ ფეხები და დარგათ წყებად ორმოებში. ნამუენი ალაგი უნდა მოაქციოთ მიწის ზევით. ბევრად სჯობია, რომ ვაზები იყოს დარგული მწკრივად (შაკებად), ვაზისა და ვაზის შორის არშინ-ნახევარზედ მაინც და წევაზისა და წევაპს შორის თუ არშინზედ ახლო დარგვა არ ვარგა; ასე რომ ერთ ქცევას ორი-ათასი-დღან ორი ათას ხუთას ძირამდე სჭირდება. ამით შემდეგ აღვილდება მუშაობა.

ვიმეორებ: ვენახში უნდა დარგათ მხოლოდ კარგად გახარებული, დონიერი და უფეხლმერივ გარგად შედეგებული ძირეული ნამუენი, თუ გსურთ რომ კარგი ვენახი გააშენოთ, და თქვენშია შორიში ნაუთვი გამოიდას. სუსტისა და შეუდეგებელს ნამუენებს ერიდეთ რთ-

გთრც ჭირსა და არამც და არამც შით არ გააშენოთ გენახები; ზარალის მეტს ვერას ნახავთ და ბოლოს ბევრს ინანებთ. მეტი დახარჯეთ, კარგი ღონიერი ნამუენები შეიძინეთ და კარგი ვენახი-კი გააშენეთ. ცოტა იყოს, მაგრამ კარგი-კი!.. ძირეულ ნამყენს, იცოდეთ კარგი არჩევა უნდა. მე შევნიშნე, რომ ზოგი საჩქოლეს პატრონი მუშტარს აძლევს ხშირად უვარგისს, გლახად შედუღებულს ნამყენს, ამით-კი შეჰყავს იგი შეცდომაში და დიდ ზარალში. ამ უსინიდისო მოქმედებას უნდა შიაქციოს ყურადღება პრესამ და აღიღობრივმა მთავრობამ და აღეკრძალოს იგი სასტიკად. ვენახი უნდა იყოს კარგად შეკავებული, რომ არაფერი შევიდეს, (ვენახში საქონელი, ე. ი. ხვალაგი არასოდეს არ უნდა შეუშვათ, ძლიერ აფუჭებს). ვაზებს უნდა მიესოს ხარდანი (ჭიგო), იმავე ან მეორე წელიწადს იზამს ნიშანს, მეორე-მესამე წელს ცოტა მოსავალიც გექნებათ, მეოთხე წელს-კი ვაზი საკმაოდ დასრულდება და კარგ მოსავალსაც მოგცემთ. მშრალს-ფერდობ მიწებზედ უმჯობესია ვაზი გაისხლას დაბლა; ნესტიან, ვაკე მიწებზედ-კი მაღლა გასხლული ვაზი აჯობებს.

ვენახი ზაფხულში სამჯერ-ოთხჯერ მაინც უნდა გაითოხნოს და გაიწმინდოს ბალახ-ბულახისაგან, რომელნიც ახშობენ ვაზს და არ ამწიფებენ კარგად ყურძენს. მოვლა და სისუთთავე ვაზს ძლიერ უეგარს. სავენახე შიწის გადაბრუნებას ის მნიშვნელობა აქვს.

ეგრეთვე, რომ სპობს გლახა ბალახებს. მასთან ვენახს ორჯელ მაინც უნდა უწამლოთ შაბიაბნით, რომ შოაშოროთ ობი და ჭრაქი, ეგრეთვე ნაცრის წინააღმდეგ წამლობენ გოგირდით. მასთან როცა ყურძენი შეთვალებას იწყებს ძლიერ კარგია იმ ღროს ლერწებს წააჭრიდეთ წვერებს. ამ რიგად მტევნები უფრო დამსხვილდება და უკეთ დამწიფდება. გამორჩვა და ნამკვრევების (ყლორტების) მოცილება ეგრეთვე დიდათ რგებს ვაზებს.


დაბოლოს უნდა ვსთქვა, რომ ამ წიგნაკში ვეცადე შოკლედ და გასაგები ენიო ამეხსნა მუშა ხალხისთვის ამერიკული ვაზით ვენახის გაშენება; რამდენად შევასრულე ეს საქმე მკითხველისთვის მიმინდვია. უნდა ითქვას კი, რომ ამ საგანზედ ხალხისთვის ჯერ არა-რა დაწერილა, მაშინ როდესაც საჭიროება დიდია. მართალია ორი წლის წინად ბ. ვლ. სტაროსელსკიმ გამოსცა თ. ი. ანდრონიკაშვილის მიერ თარგმნილი წიგნაკი, სათაურით: მოკლე დარიგება ამერიკული ვაზის გაშენების შესახებ „ქუთ. გუბერნიაში“, მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ სამწუხაროდ ეს შრომა სუსტია; იგი უსისტემოდაა შედგენილი, გაუვებარ ენით დაწერილი და მასთან შეცდომებიც შეჰქარვია. სწორედ ამიტომ ავიღეთ კალამი ხელში და ვიკისრეთ ეს მცირე შრომა.

ფილოქსერამ მოსპო აუარება ვენახები მთელს
ევროპაში. დღეს ერთად-ერთ საშუალებად მიჩნეუ-
ლია ამერიკული ვაზები და ჭიბრიდები; ამათებზედ
მყნიან ევროპიელნი თავიანთ ვაზებს, ამით აშენებენ
ვენახებს, ამით ებრძვიან ფილოქსერას. ჩვენშიაც
ერთად ერთ საშუალებად ამერიკული ვაზებია მიჩნეუ-
ლი. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მათზედ დამყნი-
ლი ევროპიული და ჩვენი ვაზები კარგად უძლებენ
ფილოქსერას და იძლევიან ბევრად უკეთესს მოსა-
ვალს და უკეთესს ლვინოს. ამ რიგად ამერიკულმა
ვაზებმა განაახლეს საყოველთაოდ მევენახობა. ფი-
ლოქსერა შეიქნა ყველგან და მეტადრე ჩვენში მარ-
გებელ ჭირად; უამისოდ ჩვენ არ ვიზამდით ამდენ
ხარჯს და არ გავაშენებდით ვენახებს ამერიკულ ვა-
ზებზედ; ახლა-კი გლეხი თუ აზნაური, მღვდელი თუ
თავადი, მდიდარი თუ ღარიბი ყველანი ძალა-უნე-
ბურად ვაშენებთ ამ რიგად ვენახებს, რადგან სხვა
საშუალება არაა.


მაშ, ძმებო, მოვჰებოთ შრომას ხელი, ნუ და-
ვერიდებით ნურაფერ ხარჯს, გადვირჩინოთ თავი
ფილოქსერიდან, გადავაბრუნოთ მიწები და შევჭენათ
ამერიკულ ვაზით ახალი ვენახები! იცოდეთ, რომ
მეღვინეობას ჩვენში დიდი მომავალი ელის, რადგან
მთელი რუსეთი ჩვენი მუშტარი გახდება; იცოდეთ

რომ მხოლოდ მევენახობა-მეღვინეობით გადურჩება-
სიღარიბე-გაჭირვებას მთელი ზემო-იმერეთი და სა-
ქართველოს სხვა კუთხენი. მაში ისევ შრომას ხელი,
ძმებო, ვიშრომოთ, ვიმხნეოთ და ჩვენია მომავალი!


მერწმუნეთ, ვინც რომ იშრომა,
ბოლო მას გაუტანია!...




სურათი 1.



სურათი 2.



Նյու. 3. Նյու. 4. Նյու. 5. Նյու. 6.



Նյութո 7.

63
J 451